



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



დადგენილება:დ-27. 2723363001

თარიღი:29/12/2023

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 28

28 დეკემბერი- 2023წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და საქართველოს კანონის "საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge; 26/01/2023; 270070000.35.163.016583).

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ დანართი N1 „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს დანართი №1-ის შესაბამისად.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის N04 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ დანართი N2 „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები“ ჩამოყალიბდეს დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

თენგიზი მთვარელიძევილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის
პირების თანამდებობრივი სარგოები

N	თანამდებობა	რაოდენობა	საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	1330	4,1	5453
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	1330	3,1	4123
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	1330	2,7	3591
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1330	2,2	2926
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	1330	2,0	2660
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	12	1330	1,6	2128

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობა	იერარქია	რანგი	შტატების რაოდენობა	საბაზისო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი (ლარი)	თანამდებობრივი სარგოს კოეფიციენტი	ერთი თვის თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს აპარატის უფროსი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	I	1	1330	2,3	3059
2	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1330	1,6	2128
3	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1330	1,2	1596
4	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	IV	2	1330	1,0	1330
5	საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1330	1,6	2128

6	საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	2	1330	1,2	1596
7	საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	II	1	1330	1,6	2128
8	საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III	1	1330	1,2	1596

განმარტებითი ბარათი

**„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 იანვრის #04 დადგენილებაში
„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი
სარგოების და აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხისა და
თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე**

წარმოდგენილი ცვლილება განპირობებულია „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ განხორციელებული ცვლილებით, რომლის თანახმადაც 2024 წელს გაიზარდა საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა საბაზისო სახელფასო განაკვეთი და ნაცვლად 1210 ლარისა განისაზღვრა 1330 ლარით. აგრეთვე განხორციელდა ცვლილება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში. წარმოდგენილი პროექტის მიზანია კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

დადგენილების პროექტი არ უკავშირდება ევროკავშირის რომელიმე სამართლებრივ აქტს, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება
დადგენილების პროექტი არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას.

გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება
დადგენილების პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო - ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება
წარმოდგენილი პროექტის დამტკიცება გამოიწვევს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას.

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენი

დადგენილების პროექტის ავტორი და წარმდგენია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი.